

თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია

ხელნაწერის უფლებით

**ალექსანდრე ზურაბის ძე ვასაძე**

**ორგანი როგორც ტრასკრიფტორ-ინტერპრეტატორის  
ინსტრუმენტი და საორგანო ტრანსკრიფციები  
(მუსორგსკის სიუიტის "სურათები გამოფენიდან"  
მაგალითზე)**

სამუსიკო ხელოვნების დოქტორის  
აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი

დისერტაციის

ავტორ ე ფ ე რ ა ტ ი

სპეციალიზაცია – კლავიშოანი საკრავები – 080507

თბილისი - 2021 წ.

სამეცნიერო ხელმძღვანელი: **მარინა ქავთარაძე**  
ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, პროფესორი

თანახელმძღვანელი: **ნინო უვანია**  
ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, ასოც. პროფესორი

ექსპერტი:

დისერტაციის დაცვა შედგება  
თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო  
კონსერვატორიის სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე №.

მისამართი: თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია,  
გრიბოედოვის ქ. №8, IV სართული, აუდიტორია №421

დისერტაციის და ავტორეფერატის გაცნობა შესაძლებელია  
თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო  
კონსერვატორიის ბიბლიოთეკაში და კონსერვატორიის  
ვებ-გვერდზე: <http://www.tsc.edu.ge>

სადისერტაციო საბჭოს სწავლული მდივანი:

**ეკა ჭაბაშვილი**  
მუსიკის დოქტორი  
ასოც. პროფესორი

## ავტორეფერატი

### ნაშრომის ზოგადი დახასიათება

*სადისერტაციო თემის აქტუალობა.* ტრანსკრიფციის ფენომენი ფართოდ არის გავრცელებული მუსიკაში, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი კი სატრანსკრიფტორო ხელოვნებაში კლავიშიანთა ტრანსკრიპციის ქანრია, რომელმაც ნაყოფიერი შემოქმედება მოახდინა მუსიკალური კულტურის განვითარებაზე.

ტრანსკრიფციის ქანრი იმით არის განსაკუთრებული, რომ იგი წარმოქმნის სასაზღვრო არეალს, რომელიც აერთიანებს საკომპოზიტორო და საშემსრულებლო საწყისებს. მაგალითად, საფორტეპიანო ტრანსკრიფციებს ქმნიდნენ ყველა დონის კომპოზიტორები და პიანისტები, სახელგანთქმულებიდან დაწყებული უცნობებით დამთავრებული და მათი შემოქმედების ნიმუშები განსხვავებულია თავისი მხატვრული ღირებულებით. სწორედ ტრანსკრიფციების მეშვეობით საშემსრულებლო პრაქტიკაში მკვიდრდებოდა სხვადასხვა ქანრები (მაგალითად კონცერტის ქანრი ბახის საკლავირო შემოქმედებაში). რომანტიზმის ეპოქაში საორგანო, ვოკალური და საორკესტრო ნაწარმოების საფორტეპიანო გადამუშავებები საშემსრულებლო რეპერტუარის უმნიშვნელოვანეს ნაწილს წარმოადგენდა. მათ არა მარტო ინსტრუმენტის ხმოვანი სამყაროს გარდაქმნის პროცესს შეუწყვეს ხელი ნოვატორული ტექნიკური გადაწყვეტითა და ფაქტურული აღმოჩენებით, არამედ საშემსრულებლო ხელოვნებაში მიმდინარე ურთულესი ესთეტიკური პროცესების ანარეკლიც გახდნენ. აქედან გამომდინარე, გაზვიადებული არ იქნება ითქვას, რომ ტრანსკრიფციებში აისახა საშემსრულებლო ხელოვნების ევოლუციის ძირითადი ეტაპები.

იმდენად, რამდენადაც ჩემი, როგორც კლავიშიან საკრავებზე შემსრულებლის მოღვაწეობა პიანისტისა და ორგანისტის სპეციალობებს უკავშირდება, საკვლევი ქანრის - ტრანსკრიფციის განვითარების ძირითადი ტენდენციების გამოვლენის ცდა უკავშირდება ინსტრუმენტულ, კერძოდ საორგანო ხელოვნების სფეროს, ხოლო მეთოდოლოგიური აპარატი გარკვეულწილად დაკავშირებულია მუსიკალური შემოქმედების კონკრეტულ სფეროსთან – შემსრულებლობასთან, რაც თეორიული განზოგადოებების საშუალებას გვაძლევს ცოცხალ მხატვრულ პრაქტიკასთან კოორდინირების გზით. აქედან გამომდინარე, სადისერტაციო ნაშრომის კვლევის

**ობიექტია** – საორგანო ტრანსკრიფციის ჟანრი, ხოლო **საგანი** მოდესტ მუსორგსკის სიუტის “სურათები გამოფენიდან“ ჩემი საკუთარი საორგანო ტრანსკრიფცია.

**სადისერტაციო ნაშრომის მიზანს** წარმოადგენს ტრანსკრიფციაში ტრანსკრიფტორის ორიგინალთან ურთიერთკავშირის პროცესის გამოვლენა საშემსრულებლო ხელოვნების ჭრილში, შექმნა-ინტერპრეტაციის პროცესის თვითრეფლექსია სხვა ტრანსკრიფციებთან შედარების გზით და საშემსრულებლო რეკომენდაციების გაცემა ამ მიმართულებით; ყურადღება გამახვილებულია ინსტრუმენტული ფრაზირების სპეციფიკაზე, საორგანო ტრანსკრიფციის ჟანრში საშემსრულებლო ხერხების გამომუშავებაზე, ფაქტურის ტიპებზე, მის ამპლიფიკაციაზე (გაფართოება) და რედუქციაზე (ფაქტურული დეტალების გამარტივება).

ჩვენს მიერ დასმული **კვლევითი ამოცანები**, უპირველეს ყოვლისა, ტრანსკრიფციის საშემსრულებლო ასპექტებს უკავშირდება: 1. ორიგინალისაგან განსხვავებული ბგერითი იერსახე და ფაქტურა; ორიგინალის ტექსტის ახალი ინტერპრეტაცია ინსტრუმენტის სპეციფიკის, აკუსტიკური და ტექნიკური პირობების ზეგავლენით; 2. ორიგინალის ეკვივალენტური ბგერითი სახის ძიება ახალ ინსტრუმენტზე; 3. ყურადღების გამახვილება როგორც საკრავის შესატყვის ტექნიკურ ტრანსფორმაციაზე, ისე ინტერპრეტაციაზე; 4. საორგანო ტრანსკრიფციაში საფორტეპიანო საორკესტრო გამომსახველობის გამოვლენა.

ჩემთვის, როგორც პიანისტისა და ორგანისტისთვის, დიდ ინტერესს წარმოადგენს ამ ორი ინსტრუმენტის დინამიკური შესაძლებლობების შეფარდება. ამასთან დაკავშირებით ყურადღება მახვილდება ორგანზე დაკვრისას ერთი და იგივე ინტენსიურობის ბგერის ხმოვანებაზე, მის ტემბრულ მრავალფეროვნებაზე და ორგანისტის საფორტეპიანო და საორკესტრო ნაწარმოების ადაპტაციისას ორიგინალის ცალკეული მხარეების რედუცირებაზე.

სადისერტაციო ნაშრომში დიდი ყურადღება ეთმობა საფორტეპიანო და საორკესტრო სტილების კავშირს. მოდესტ მუსორგსკის სიუტის „სურათები გამოფენიდან“ ჩემი საორგანო ტრანსკრიფციის განხილვისას საიმედო ორიენტირის როლს ასრულებს საფორტეპიანო ორიგინალისა და რაველის საორკესტრო პირველსახეები, რაც შემსრულებლის წინაშე ფართო პერსპექტივას შლის. ინტერესს მოკლებული არ არის საორკესტრო და საფორტეპიანო ხერხების დაახლოების საკითხი. ყურადღების ცენტრშია საორგანო ტრანსკრიფციაში

მრავალფეროვანი ფაქტურისა და არტიკულაციის გამომსახველი საშუალებების ფართო გამოყენება.

ზოგადად შეიძლება ითქვას, რომ ორივე შემთხვევაში, როგორც დედანში, ისე საორგანო ტრანსკრიფციაში ყურადღება გამახვილებულია: 1. ინსტრუმენტის რეგისტრებზე და მათ შეფარდებაზე; 2. პედლის კოლორისტულ შესაძლებლობებზე; 3. დინამიკაზე; 4. აპლიკატურაზე, 5. შტრიხებზე და არტიკულაციაზე.

### **კვლევის მეთოდოლოგია**

ტრანსკრიფციის ფენომენის მიმოხილვისას გამოყენებულია ისტორიზმის პრინციპზე დამყარებული კონკრეტული მოვლენის მთლიანი ანალიზის (целостный анализ) მეთოდი. სატრანსკრიფტორო ხელოვნების ცალკეული ნიმუშების შესწავლისას და მათი სტილების ურთიერთმოქმედების პროცესში ვემყარებით ინტონაციის თეორიას, რომელიც საშუალებას გვაძლევს, გამოვაგლინოთ ტრანსფორმაციის მეთოდის ინდივიდუალური მახასიათებლები ძირითად საკომპოზიტორო სტრუქტურებთან მიმართებაში, ინტერტექსტუალობის ჭრილში „საკუთარისა“ და „სხვისი“ სტილების მიმართებით. ტრანსკრიფციის შექმნის პროცესის აღწერითი მეთოდით დახასიათება თვალსაჩინოს ხდის ორიგინალის ფაქტურულ ცვლილებებს. ამასთანავე, მუსორგსკის ორიგინალის ტექსტის, რაველის საორკესტრო, ჩემი და ჟან გიუს საორგანო ტრანსკრიფციების განხილვა ემყარება ჰერმენევტიკულ, კომპარატიულ მეთოდს, როგორც შრომისათვის არსობრივად განმსაზღვრელ კვლევით ხერხს.

სადისერტაციო ნაშრომის **სიახლე და პრაქტიკული მნიშვნელობა** მდგომარეობს იმაში, რომ ნაშრომში ჩემი საორგანო ტრანსკრიფციის პრაქტიკულ მაგალითზე ნაჩვენებია ორიგინალის ტრანსკრიფცირების ყველა კომპონენტის დეტალური აღწერა, სადაც განხილულია, თუ როგორ უნდა მოხდეს ნაწარმოების სხვადასხვა სახის ორგანზე მორგება, რაც თავის მხრივ მოითხოვს თვით მრავალსაუკუნოვანი ევოლუციის მქონე ინსტრუმენტის - ორგანის თანამედროვე სახეობების ცოდნას. მუსორგსკის სიუიტის „სურათები გამოფენიდან“ საორგანო ტრანსკრიფციის შედარებით ანალიზს აგრეთვე თან ერთვის საშემსრულებლო ხასიათის პრაქტიკული რეკომენდაციები, რაც დაეხმარება შემსრულებლებს მის ინტერპრეტაციაში.

ვიმედობნებ, რომ ჩემს ნაშრომს ექნება **პედაგოგიური დანიშნულება**. იგი გამოადგება ახალგაზრდა პიანისტებს, მომავალ ორგანისტებს, რათა უკეთ გაეცნონ

საფორტეპიანო, საორგანო და საორგესტრო გამომსახველობითი ხერხების ურთიერთკავშირს, რაც მომავალში მათ საშემსრულებლო შესაძლებლობებს უფრო გააფართოებს.

### **ნაშრომის შინაარსი**

სადისერტაციო ნაშრომის სტრუქტურა წარმოდგენილია შესავლით, სამი თავითა და დასკვნით, ასევე გამოყენებული ლიტერატურის ნუსხით და დანართით, რომელშიც მოცემულია სანოტო მაგალითები, მუსორგსკის სიუტის საკუთარი (ა. ვასაძის) საორგანო ტრანსკრიფციის დეპონირებული სანოტო ტექსტი (მოწმობა 8264), საანალიზო ციკლის ინტერპრეტაციების აუდიოჩანაწერების ამსახველი სპექტროგრამები (196 ნაბეჭდი გვერდის მოცულობით), რომლებიც მოცემული ციკლის ტრანსკრიფციების შედარებას უფრო თვალსაჩინოს ხდის.

**შესავალში** დასაბუთებულია ტრანსკრიფციის ჟანრის აქტუალობა და მისდამი ინტერესი, წარმოდგენილია კვლევის ობიექტი, საგანი, მიზანი, ამოცანები და მეთოდოლოგია. აღნიშნულია სადისერტაციო ნაშრომის მეცნიერული სიახლე და პრაქტიკული მნიშვნელობა. მუშაობაში მეთოდოლოგიური ბაზა შეგვიქმნა როგორც თეორიულმა ნაშრომებმა და ტრანსკრიფციის ჟანრთან დაკავშირებულმა ლიტერატურამ (გ. კოგანის, ლ. მაზელის, ლ. როიზმანის, მ. არანოვსკის, ნ. ივანჩის, ა. გოტლიბის, ნ. პროკინას, ბ. ბოროდინის), ისე სამუსიკო ენციკლოპედიებმა და ცალკეულმა პუბლიკაციებმა (გრუვის ენციკლოპედია “Grove encyclopedia”, ბრიტანული ენციკლოპედია “Britannica”, “Marco Pasini A Tribute to Paganini”, “Busoni F. Vonder Einheit der Musik”, “И. Стравинский - публицист и собеседник”, “Twentieth-Century Organ Music”, “Main Auditorium Organ. Atlantic City Convention Hall Organ Society” და სხვ.)

#### **I თავი – „ტრანსკრიფციის ჟანრის თავისებურებები“**

**I ქვეთავი „ტრანსკრიფციის ჟანრის ცნებისათვის“** შინაარსობრივად ორი მონაკვეთისაგან შედგება. მასში განიხილება ტრანსკრიფციის ცნებასთან დაკავშირებული საკითხები და ამ სპეციფიკური ჟანრის ისტორია, იმდენად რამდენადაც ის აერთიანებს თავის თავში როგორც საკომპოზიტორო, ისე საშემსრულებლო შემოქმედებას, რაც ოდითგანვე მისდამი მუსიკოს-შემსრულებელთა დიდი ინტერესს იწვევდა. „ტრანსკრიფცია“, „გადმოტანა“,

„გადამუშავება“ - ტერმინების გამიჯნვას ვახდენთ გამომდინარე იქედან თუ რამდენად ღრმად ჩაერთა ტრანსკრიფტორი მუსიკალური ნაწარმოების ორიგინალში. ტრანსკრიფციაზე საუბრისას, ძალზე მნიშვნელოვანია მოხდეს მისი გამიჯვნა ტერმინ „გადამუშავებისაგან“. ტერმინ ტრანსკრიფციაში, ისევე როგორც „გადმოტანაში“, იგულისხმება ორიგინალური სანოტო მუსიკალური ტექსტის შენარჩუნებით ნაწარმოების სხვა საკრავზე გადატანა, სადაც არ ხდება არანაირი ტექსტუალური ცვლილება, მაგრამ საკრავის სფეციფიკიდან გამომდინარე, დისპოზიციის თვალსაზრისით ხდება მისი ამა თუ იმ საკრავზე მორგება, რის შედეგადაც იგი ყოველგვარი ტექსტუალური ცვლილების გარეშე, ტემბრული ტრანსფორმაციის მეშვეობით იძენს სრულიად ახალ სახეს. ტერმინი „გადამუშავება“ კი გულისხმობს ნაწარმოების უფრო თავისუფალ და, ამასთან ერთად, საკრავის შესაძლებლობებიდან გამომდინარე ვირტუოზულ გადამუშავებას, სადაც ნაწარმოების ფორმის და სტრუქტურის შენარჩუნებით გარკვეულ ეპიზოდებში ხდება ორიგინალური ტექსტის ახლით ჩანაცვლება ამა თუ იმ საკრავისათვის დამახასიათებელი ფაქტურით; მაგალითად, საფორტეპიანო გადამუშავებებში - ვირტუოზული პასაჟებით.

ტრანსკრიფციის ჟანრთან დაკავშირებულია განსხვავებული კვლევის ამოცანები, მათ შორის, მუსიკალური კულტურის სხვადასხვა შრეების დაახლოება, ინტერტექსტუალური ურთიერთგავლენების განსხვავებული ტიპების არსებობა, ინტერპრეტაციის საკითხები. ძალზედ მნიშვნელოვანია საავტორო და მეორადი ტექსტის შეფარდების გარკვევა ინსტრუმენტობის, სტრუქტურულ-კომპოზიციური თავისებურებებისა და სტილისტიკის თვალსაზრისით. მხედველობაშია მისაღები ის, რომ ტრანსკრიფციამ, შესაძლოა, დაუკარგოს ორიგინალს მისი უტყუარი ღირსებები, მაგრამ აანაზღაუროს ეს სხვა ტემბრული ფერებით და ახალი ინსტრუმენტის საშემსრულებლო შესაძლებლობებით.

სატრანსკრიფტორო სფეროსთან მიმართებაში მნიშვნელოვანია ისეთი ცნება, როგორცაა ინტერტექსტუალობა, რომელიც უნდა გააზრებულ იქნას ტექსტების კომუნიკაციის თვალსაზრისით და, ამავდროულად, როგორც ინსტრუმენტთა ინტონაციური ბუნების ურთიერთქმედების პროცესი. ეს მოსაზრება შეიძლება აგხსნათ ამა თუ იმ ინსტრუმენტის ხელოვნებაში ორიგინალებით ინსპირირებული საშემსრულებლო თავისებურებებით (მაგალითად, ლისტის ფორტეპიანოს „ორკესტრულობა“, სიმებიანების მსგავსი პასაჟები, ფაქტურული ფორმულები და ა.შ.). ტრანსკრიფციის როგორც „დიალოგის“ ხელოვნების განხილვისას

აღსანიშნავია ეპოქალური სტილების, ეპოქებს შიგნით მხატვრული ინდივიდუალობების, ინსტრუმენტული სტილების დიალოგის სხვადასხვა ფორმები (დერივაცია და კონტამინაცია). ორიგინალის გარდაქმნის ხერხები სფეციფიკურია ხელოვნების სხვადასხვა დარგებში. მაგრამ ამ ლოკალურ ხერხებს აერთიანებს საერთო რამ: ნებისმიერი დასრულებული ნაწარმოების საფუძველზე იქმნება გარკვეული არტეფაქტი, რომელსაც ახასიათებს დამოუკიდებლად ან შედარებით დამოუკიდებლად არსებობის უნარი, საწყისი ობიექტის გარკვეულწილად ცვალებადი, ტრანსფორმირებული სახით. ამიტომ სავსებით კანონზომიერია გამოვთქვათ ჰიპოთეზა იმის თაობაზე, რომ არსებობს განზოგადებული, უნივერსალური ტრანსფორმაციის მეთოდი. მისი უნივერსალურობა ვლინდება თავად მხატვრული შემოქმედების არსით, როდესაც ხელოვნების ნიმუშები და მათგან მიღებული შთაბეჭდილებები იქცევა მასალად შემოქმედებითი გარდასახვისათვის.

ტრანსფორმაციის მეთოდი დაკავშირებულია ხელოვნების ნიმუშების გარდაქმნასთან და განაპირობებს ორიგინალის ისეთ ცვლილებებს, რის შედეგადაც იგი (ორიგინალი) წარმოჩინდება ახალი კუთხით, ამავედროულად ინარჩუნებს გენეტიკურ კავშირს თავის პირვანდელ სახესთან. ამ შემოქმედებითი მეთოდის აღმოჩენა ნაყოფიერი თემაა სახელოვნებათმცოდნეო და კულტუროლოგიური ნაშრომებისათვის. ამავედროულად უნდა აღინიშნოს, რომ ამ პრობლემის წამოჭრა თავისი გადაწყვეტისათვის მოითხოვს დეტალურ წინასწარ ანალიზს ტიპოლოგიურად მონათესავე მოვლენებისა ხელოვნების ყველა დარგში.

ტრანსკრიფციის ფენომენთან კომპლექსური მიდგომა მოიცავს ერთმანეთთან ურთიერთდაკავშირებულ ოთხ ძირითად ასპექტს: 1) ინსტრუმენტულს, 2) სტრუქტურულ-კომპოზიციურს, 3) სტილისტურსა და 4) კულტუროლოგიურს. თითოეული მათგანის კვლევა ჩვენს წინაშე გარკვეული ლოკალურ ამოცანებს სახავს, რომელთა გადაწყვეტაც გვეხმარება კვლევის ძირითადი მიზნის მიღწევაში.

**I ქვეთავის მეორე მონაკვეთი** ეძღვნება ექსკურსს ტრანსკრიფციის ჟანრის ევოლუციის ისტორიაში ბაროკოს ეპოქიდან XXI საუკუნემდე.

სატრანსკრიფტორო ხელოვნების ტექნიკური მხარე ინსტრუმენტალიზმის განვითარებასთან ერთად იცვლებოდა. ამით განპირობებულია სამეცნიერო კვლევის სატრანსკრიფტორო შემოქმედების ისტორიული რაკურსი. ნაშრომის დიდი ნაწილი აშუქებს დასავლეთევროპული ინსტრუმენტალიზმის განვითარების ეტაპებს.



ავტორი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ტერმინოლოგიური აპარატის გამომუშავებას, რომელიც დაკავშირებულია ტრანსკრიფციის შექმნის ისეთ ტექნიკურ ხერხებთან, როგორცაა: 1. **ადაპტაცია** - ხმოვანი იერსახის შეცვლა ორიგინალის ფაქტურის ინსტრუმენტ-ადრესატის შესაძლებლობების შესაბამისად; 2. **რელუქცია** - რეალური ტემბრული სხვაობების მოხსნა, მათი გადაყვანა ინსტრუმენტის ნეიტრალურ ხმოვან ველში; 3. **ინვერსია** – ორიგინალის ხმოვანი სახის სპეციფიკური ექვივალენტის აღმოჩენა.

ინსტრუმენტული ხელოვნების ფორმირება ურთულეს პროცესს წარმოადგენს, რომელიც შეიცავს მთელ რიგ ფაქტორებს. პირველ რიგში ინსტრუმენტული სფერო მსოფლიო მუსიკალური კულტურის უმნიშვნელოვანეს ნაწილად გვევლინება. ყოველ მხატვრულ ეპოქას თავისი ინსტრუმენტალიზმის ტიპი გააჩნია, რომელშიც აისახება მისი პირვანდელი ნიშან-თვისებები. უნდა აღინიშნოს, რომ ინსტრუმენტული კულტურა სულ უფრო აქტიურ კომპონენტად იქცევა, რომელიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მხატვრული ეპოქის იერსახეზე. ინსტრუმენტალიზმის განვითარების ჯერ კიდევ ადრეულ სტადიებში საკმაოდ რელიეფურად აღინიშნებოდა სამი ძირითადი ტენდენცია, რომელთა განსაზღვრა შემდეგი სახით შეიძლება: 1. ინსტრუმენტული ნეიტრალურობის ტენდენცია; 2. ცენტრიდანული ტენდენცია ინსტრუმენტის იმანენტური შესაძლებლობებიდან გამომდინარე; 3. ცენტრისკენული ტენდენცია დაკავშირებული მოცემულ ინსტრუმენტთან მიმართებაში სხვა სახის ინსტრუმენტული და არაინსტრუმენტული სფეროების აქტიური ზეგავლენით.

აღნიშნული ტენდენციები მჭიდრო კავშირშია სატრანსკრიფტორო სფეროსთან. წარმოდგენილი კონცეფცია მოცემულ კვლევაში საკვანძო ემპირიული მასალის სისტემატიზაციის მათგან იხილებულ პრინციპად გვევლინება.

მუსიკაში ტრანსფორმაციის მეთოდის კონცენტრირებულ გამოვლინებად გვევლინება ტრანსკრიფცია. ეს მასშტაბური პრობლემაა რადგანაც ტრანსკრიფციების სამყარო ძალზე მრავალფეროვანია, გააჩნია მდიდარი ისტორია და მისი გამხილვა დიდ სირთულეს წარმოადგენს. ტრანსფორმაციის მეთოდის გავრცელების დიაპაზონი აგრეთვე არ განისაზღვრება, როგორც ჩვენ წარმოგვიდგენია, მხოლოდ ტრანსკრიფციებით, არამედ მოიცავს მუსიკალური შემოქმედების მსგავს სფეროებს, რაც აისახება, მაგალითად, საშემსრულებლო რედაქციებში, კადენციებში, ფანტაზიებში და ა.შ. ყოველივე ეს მიგვიჩვენებს როგორც საორგანო ტრანსკრიფციის ფენომენის, ისე მასთან დაკავშირებული

ტრანსფორმაციის მეთოდის კომპლექსური შესწავლის აუცილებლობაზე. აქედან გამომდინარე, ტრანსკრიფციის ფენომენის შესწავლა პრიორიტეტულად საკუთარი საორგანო ტრანსკრიფციის მაგალითზე, საშუალებას მოგვცემს, გამოვაგლინოთ ტრანსფორმაციის მეთოდის ძირითადი თავისებურებები ტრანსკრიფციის სფეროსთან მიმართებაში თვითრეფლექსიის მეშვეობით.

**I თავის II ქვეთავი – „ორგანი როგორც ტრანსკრიფტორის ინსტრუმენტი“** წარმოგვიდგენს ორგანის, როგორც დიდი შესაძლებლობების და გიგანტური მასშტაბების მქონე უძველეს საკრავს, რომელსაც განსაკუთრებული ადგილი უკავია მუსიკალურ სამყაროში. ამ საკრავმა მრავალი საუკუნის მანძილზე საგრძნობი ევოლუცია განიცადა და არნახულ ტექნიკურ განვითარებას მიაღწია.

გვიანდელი რენესანსის და ბაროკოს პერიოდში, დასავლეთ ევროპაში საორგანო მშენებლობამ უდიდესი მასშტაბები შეიძინა. იტალიაში, XVI-XVII საუკუნეებში, ყველაზე ცნობილი იყო ორგანების შემქმნელთა დინასტია „Graziadio Antenati“ XVII საუკუნის ბოლო მეოთხედსა და XVIII საუკუნეების დასაწყისში. განსაკუთრებული წვლილი შეიტანა გერმანიის საორგანო აღმშენებლობაში ზილბერმანის დინასტიამ; მათი ძირითადი სახელოსნოები იყო საქსონიასა და ელზასში. ზილბერმანების საქმიანობამ პიკს მიაღწია XVIII საუკუნეში.

XIX საუკუნეში ორგანების უდიდესმა ფრანგმა ოსტატმა არისტიდ კავაიე კოლმა (Aristide Cavaye-Col) შექმნა ისეთი მასშტაბის ორგანები, რომელთაც სიმფონიურ ორგანებს უწოდებენ მათი სიმფონიური ორკესტრის ხმოვანების მსგავსი უღერადობის გამო.

ორგანებში ყველაზე გავრცელებულია მექანიკური, პნევმატური, მექანიკურ-პნევმატური და ელექტროსისტემები:

1) მექანიკური ტიპის სისტემა ძირითადად ბაროკოს ეპოქის სტილის ორგანებს ახასიათებთ. იგი დღესაც ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული სისტემაა, სადაც მანუალის ან პედლის კლავიში საჰაერო მილის სარქველთან პირდაპირ კავშირშია ხის მსუბუქი შემაერთებლის მეშვეობით. ეს სისტემა არ აძლევს ბგერას დაგვიანების საშუალებას და იძლევა ორგანისტიისთვის ინსტრუმენტის კონტროლის საუკეთესო შესაძლებლობას.

2) პნევმატური ტიპის სისტემა უფრო გავრცელებულია რომანტიკული სტილის ორგანებზე, რომლებზეც მანუალის ან პედლის კლავიშის დაჭერისას საჰაერო მილის სარქველი იხსნება ჰაერის სპეციალური გამტარი სისტემის მეშვეობით, რაც

დაჭერას ბევრად ამსუბუქებს, მაგრამ ყოველივე ამას ბგერის საგრძნობი დაგვიანება ახასიათებს.

3) ელექტრონული ტიპის სისტემა ახასიათებს ძალიან დიდი ზომის ორგანებს. ეს ერთადერთი სისტემაა, რომელიც არანაირ შეზღუდვას არ იძლევა რეგისტრების რაოდენობაში. ამ ორგანებზე მანუალის ან პედლის კლავიშის დაჭერისას საპიანო მილის სარქველი იხსნება ელექტრო იმპულსის მეშვეობით, რაც იძლევა ორგანის პულტის ნებისმიერ დისტანციაზე დაყენების საშუალებას.

XIX-XX საუკუნეები გამოირჩევა ორგანის განვითარების ისტორიაში. განსაკუთრებულად სწრაფი ტემპებით მოხდა ორგანის განვითარება XX საუკუნეში. სწორედ ამ პერიოდში განიცადა ორგანმა ყველაზე დიდი ცვლილებები თავისი ისტორიის მანძილზე. მაგალითად, XX საუკუნის პირველ ნახევარში გრძელდება XIX საუკუნის ტრადიციები იმის პარალელურად, რომ ვითარდება თანამედროვე დიდი სიმფონიური ორგანი. XX საუკუნის შუა პერიოდში რამოდენიმე ქვეყანაში შენდება Orgelbewegung - ორგანი მექანიკური მოქმედებით, ამავდროულად ელექტრო პნევმატიკური სისტემით, რომელიც შექმნილია ეკლექტიკურ სტილში. ეს სტილი გაბატონებული იყო საუკუნის ბოლომდე, ხოლო საუკუნის ბოლოს იქმნება მოდერნიზებული ნეოსიმფონიური ორგანი.

საფრანგეთში XX საუკუნის პირველ ნახევარში გრძელდება XIX საუკუნის უდიდესი ოსტატის კავაიე კოლის (1811–99) ტრადიციები. სწორედ მის მიერ აგებული რომანტიკული სტილის ორგანებისთვის წერდნენ ფრანგული რომანტიკული სკოლის ისეთი კომპოზიტორები, როგორებიც იყვნენ სეზარ ფრანკი (1822–90), კარლ-მარია ვიდორი (1844–1937) და ლუის ვიერნი (1870–1937). რა თქმა უნდა, სწორედ ამ ორგანებისთვის იწერებოდა ნაწარმოებები XX საუკუნის პირველ ნახევარშიც. XX საუკუნის პირველ ნახევარში კავაიე კოლის ტრადიციები გააგრძელა ჩარლზ მატინმა (1861–1931). ახალი ინსტრუმენტები იგებოდა ტრადიციულ სტილში, სანამ ისინი 1930 წელს არ შეცვალა ნეოკლასიკურმა ორგანებმა.

გერმანული სკოლის ერთერთი ყველაზე თვალსაჩინო მაგალითია სამი უდიდესი ორგანის მშენებლის - ებერჰარდ ფრიდრიჰ ვალკერის (1794–1872), ფრიდრიჰ ლადეგასტის (1818–1905) და ვილჰელმ ზაუერის (1831–1916) ორგანები. მაგრამ მხოლოდ ებერჰარდ ფრიდრიჰ ვალკერმა განაგრძო XX საუკუნეში ეს ტრადიციები. ეს ორგანები გამოირჩეოდნენ როგორც რეგისტრების გაძლიერებული შემადგენლობით, აგრეთვე უღერადობის ჩინებული ხარისხით.

ცნობილი გერმანელი ორგანიზტის და თეორეტიკოსის ემილ რაპის (1872–1948), ცნობილი ჰუმანისტის, ექიმის, მუსიკისმცოდნის და ორგანიზტის ალბერტ შვაიცერის (1875–1965) და ორგანების მშენებლის ოსკარ ვალკერის (1869–1948), ებერჰარდ ფრიდრიჰ ვალკერის ტრადიციების გამგრძელებლის თაოსნობით განხორციელდა რეფორმა.

ალბერტ შვაიცერმა გამოხატა აღფრთოვანება ძველი გერმანული ორგანების მექანიკის მიმართ, მით უმეტეს, ეს ინსტრუმენტები პირდაპირ კავშირში იყო ბახის მუსიკის შესრულების ტრადიციასთან, მაგრამ იგი აგრეთვე აღტაცებული იყო კავაიე კოლის ორგანების გაცილებით უფრო ფართე შესაძლებლობებით. მას სურდა გერმანულ ორგანებზე შესაძლებელი ყოფილიყო ფრანგული მუსიკის შესრულებაც.

სწორედ ოსკარ ვალკერის თაოსნობით, ძველი გერმანული ორგანების მექანიკის და ფრანგული მექანიკურ პნევმატური სისტემის შერწყმით შეიქმნა ახალი ტიპის გაფართოებული შესაძლებლობების მქონე ორგანები.

XX საუკუნის ბოლოს შემოდის ახალი ნეოსიმფონიური ორგანები, რომლებიც თავისი კონსტრუქციით მოიცავენ როგორც სიმფონიური ორგანის, ისე ეკლექტიკური ორგანის სტილს. ეს ინსტრუმენტები გავრცელებულია ჩრდილოეთ ამერიკაში, გამოირჩევა თავისი გიგანტური ზომით, შესაბამისად - მანუალების და რეგისტრების უფრო დიდი რაოდენობით. ეს ინსტრუმენტები ორგანიზტს უსაზღვროდ ფართო რეპერტუარის შესრულების შესაძლებლობის აძლევენ. მაგალითად, აშშ-ში ატლანტიკ სიტის 7 მანუალიანი ორგანი, რომელიც მსოფლიოში ყველაზე დიდია ზომით და რეგისტრების ძალიან დიდი რაოდენობით გამოირჩევა.

## **II თავი - „მუსორგსკის „სურათები გამოფენიდან“ და მისი ტრანსკრიფციები“**

მოცემული თავი წარმოგვიდგენს მოდესტ მუსორგსკის საფორტეპიანო ციკლის „სურათები გამოფენიდან“ ორიგინალის და რაველის საორკესტრო ვერსიის შედარებით ანალიზს ჩემს – ალექსანდრე ვასაძის საავტორო საორგანო ტრანსკრიფციასთან.

მოდესტ მუსორგსკის საფორტეპიანო სიუტა „სურათები გამოფენიდან“ პიანისტების განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს საშემსრულებლო თვალსაზრისით. ჩემს პიანისტურ რეპერტუარშიც ამ ნაწარმოებს, რომელიც არაერთხელ მაქვს შესრულებული, მნიშვნელოვანი ადგილი უკავია. მაგრამ არა

ნაკლები ინტერესია მის მიმართ საორკესტრო ტრანსკრიფციების და სხვადასხვა ინსტრუმენტებზე გადატანის მხრივაც. იშვიათია ნაწარმოები, რომლის ესოდენ მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანი ტრანსკრიფციები არსებობს, რაც, ცხადია, თავად მუსორგსკის შედევრის უნიკალურობითა და მდიდარი პოტენციალით არის განპირობებული.

ამ ნაწარმოების პირველი საორკესტრო ტრანსკრიფცია შეიქმნა ჯერ კიდევ 1888 წელს რომსკი-კორსაკოვის სტუდენტის მიხაილ თუშმალოვის მიერ, მაგრამ საორკესტრო ტრანსკრიფციებიდან უპირობოდ ყველაზე აღიარებული მორის რაველის საორკესტრო ვერსიაა.

ცნობილია, რომ მუსორგსკი თავის ნაწარმოებებს თავდაპირველად ფორტეპიანოსთვის ქმნიდა და შემდგომ აორკესტრებდა. მაგრამ, ჩემი აზრით, ამ ციკლის ავტორისეულ საფორტეპიანო ორიგინალში იმდენად ძლიერად იგრძნობა ორკესტრული აზროვნება, საორკესტრო ფერთა პალიტრის უდიდესი რესურსის გათვალისწინებით ფორტეპიანოს შესაძლებლობების გაზრდის ხარჯზე, რომ პიანისტს საორკესტრო ეფექტის შექმნის ილუზია რეალურად ექმნება. იგი მოიცავს პიანიზმის აბსოლუტურად ყველა სახის ტექნიკურ სირთულეს. იქმნება შთაბეჭდილება, თითქოს კომპოზიტორს გასაორკესტრებლად ჰქონდა გამზადებული ნაწარმოები.

საბედნიეროდ ამ ციკლმა ახალი, რეალურად საორკესტრო სახე მიიღო რაველის გენიალურ ტრანსკრიფციაში. რაველის საორკესტრო ვერსიის მოსმენის შემდეგ მუსორგსკის ამ ნაწარმოებისადმი ჩემი, როგორც პიანისტის დამოკიდებულება კარდინალურად შეიცვალა, რამაც ციკლის ჩემს მომდევნო საფორტეპიანო შესრულებებზე დიდი გავლენა იქონია და ახლებურად დამანახა ამ გრანდიოზული ქმნილების უსაზღვრო პოტენციალი, რის შედეგადაც გადამაწყვეტინა ამ ციკლის საკუთარი საორგანო ტრანსკრიფცია შემექმნა.

ეს ნაწარმოები საორგანო ტრანსკრიფციის კუთხით დიდ სირთულეს ქმნის პირველ რიგში ინსტრუმენტის დისპოზიციის, ასევე თვით ტრანსკრიფტორის მხრივ სუფთა საფორტეპიანო ფაქტურის ორგანზე წარმოდგენის თვალსაზრისით, ვინაიდან განსხვავებით ორკესტრისა და მითუმეტეს ფორტეპიანოსაგან, ორგანი პირდაპირი მნიშვნელობით მძიმე და ნაკლებად მობილური საკრავია. ამიტომ როგორც საორკესტრო, ისე საფორტეპიანო ფაქტურის გადატანისას გადამწყვეტია რეგისტრების ოსტატურად შერჩევა თვით ინსტრუმენტის სპეციფიკიდან გამომდინარე. ზუსტად უნდა გაითვალოს, თუ რა რეგისტრს გამოიყენებ,

რადგანაც არჩევანი დიდია; არსებობენ უფრო მკაფიო და დარბაზში გამჭოლი რეგისტრები და პირიქით – უფრო რბილი, შესაბამისად, ნაკლებად მობილური, შესაძლოა უფრო მძიმე და ა.შ.

ამრიგად, მუსორგსკის “სურათები გამოფენიდან” ამ ციკლის საფორტეპიანო ორიგინალის, მორის რაველის საორკესტრო ვერსიის და ჩემი საორგანო ტრანსკრიფციის შედარებითი ანალიზი, რომელიც მოცემულ თავში არის წარმოდგენილი, მიზნად ისახავს ამ ციკლის სახით საორგანო ტრანსკრიფციის და თვით ინსტრუმენტის ახლებური კუთხით წარმოჩენას. ამ მიზნით ნაშრომში სხვადასხვა სახის პრობლემატიკა და მათი გადაჭრის გზები არის შემოთავაზებული, რაც მოიცავს თვით ტრანსკრიფცირების ტექნიკას, ტრანსკრიფციის პროცესის დროს ტრანსკრიფტორის მიერ ერთდროულად რამოდენიმე მასალაზე მუშაობას (ორიგინალი და პარტიტურა) და, აქედან გამომდინარე, განსხვავებული დამახასიათებელი ნიშან-თვისებების (საფორტეპიანო, საორკესტრო და საორგანო) შერწყმას, საორგანო სპეციფიკიდან გამომდინარე ინსტრუმენტის საორკესტრო კუთხით დანახვას და მისი რეგისტრების საორკესტრო პრინციპით შერჩევას, ინსტრუმენტის აკუსტიკური მახასიათებლების გათვალისწინებით საშემსრულებლო ტექნიკასთან დაკავშირებულ პრაქტიკულ რეკომენდაციებს.

ამ ციკლის ჩემი საორგანო ტრანსკრიფცია ორ ტექსტზეა დაფუძნებული (მუსორგსკის საფორტეპიანო ორიგინალი და რაველის საორკესტრო ვერსია), სადაც ორი განსხვავებული ეპოქის და სტილის კომპოზიტორის ხედვაა გათვალისწინებული. აქედან გამომდინარე გარკვეულ წილად მას ორმაგი ტრანსკრიფციაც შეიძლება ეწოდოს. ამ სამი ვერსიის დეტალური ანალიზი აჩვენებს, თუ როგორ შეიძლება ტრანსკრიფციის სახით ორიგინალის ტექსტში ყოველგვარი ცვლილების გარეშე (რასთანაც გვაქვს საქმე რაველის საორკესტრო ვერსიის შემთხვევაშიც და ჩემს საორგანო ტრანსკრიფციაშიც) ნაწარმოებმა მიიღო სრულიად განსხვავებული სახე ისე, რომ ამავდროულად შენარჩუნებული იყოს მისი მხატვრული შინაარსი; აგრეთვე, სანოტო ტექსტში საორკესტრო და საორგანო აზროვნების პრინციპის შერწყმით, როგორ შეიძლება მოხდეს ინსტრუმენტის (ორგანის) ახლებურად დანახვა. ნაშრომის ეს თავი ერთდროულად განიხილავს თვით ტრანსკრიფცირების პროცესს და მისივე შესრულების პრაქტიკულ რეკომენდაციებს იძლევა. ამ ანალიზის მეშვეობით თვალნათლივ ჩანს, თუ რა პრინციპით შეიქმნა მოცემული საორგანო ტრანსკრიფცია და როგორ უნდა

შესრულდეს იგი სხვადასხვა სახის ორგანზე იმის გათვალისწინებით, რომ ყველა ორგანს განსხვავებული შესაძლებლობები და ტექნიკური მახასიათებლები გააჩნია. ანალიზში აგრეთვე განხილულია, თუ როგორ უნდა გადავიტანოთ საფორტეპიანო კლავიატურის დიაპაზონისთვის განკუთვნილი ფაქტურა საორგანოზე. ვინაიდან ჩემი საორგანო ტრანსკრიფცია ითვალისწინებს არა მარტო ორიგინალის ტექსტს, არამედ მის შექმნაში დიდი და გადამწყვეტი ადგილი უკავია რაველის საორგანო ვერსიას, ანალიზში დეტალურად არის განხილული თუ, როგორ უნდა ხდებოდეს რეგისტრების საორგანო და ამავდროულად საორგანო პრინციპით შერჩევა, გამომდინარე იქედან, თუ როგორ სურს შემსრულებელს წარმოაჩინოს კონკრეტული მუსიკალური ნომერი - საორგანო თუ სუფთა საორგანო კუთხით. ანალიზში წარმოდგენილია საორგანო რეგისტრების ჯგუფების შეპირიპირება საორგანო ჯგუფებთან, რის მეშვეობითაც დეტალურად არის აღწერილი თითოეული რეგისტრისთვის დამახასიათებელი ნიშან-თვისებები და მათი არყოფნის შემთხვევაში - ალტერნატიული გზების გამონახვა, თუ როგორ შეიძლება მოხდეს მათი დაპირისპირება საორგანო ინსტრუმენტებთან მიმართებაში. დიდი ყურადღება არის გამახვილებული ფონურ და სოლირებული რეგისტრების შეფარდების საკითხზე. ხშირად სოლირებული რეგისტრები ემთხვევა კიდევ საორგანოს, მაგალითად, ლაბიალური რეგისტრებიდან ფლეიტური ჯგუფები, ან ენაკიანებიდან “ჰობოი”, “კლარნეტი”, “ფაგოტი” და ა.შ. აგრეთვე განხილულია, თუ როგორ არის შესაძლებელი ერთი და იგივე რეგისტრმა სხვადასხვა გარემოცვაში მიიღოს განსხვავებული უღერადობა, თუ როგორ შეიძლება სოლირებული რეგისტრი იქცეს ფონურად და პირიქით - ფონური რეგისტრი სოლირებულად. საორგანო რეგისტრების სპეციფიკიდან გამომდინარე, დიდი ყურადღება ეთმობა, თუ როგორ უნდა ხორციელდებოდეს მათი სხვადასხვა ტემპში გამოყენება აკუსტიკური კანონზომიერების გათვალისწინებით, ვინაიდან ყველა რეგისტრი თავისი დიაპაზონიდან გამომდინარე რევერბერაციის განსხვავებულ სურათს იძლევა. იმის გათვალისწინებით, რომ ამ ციკლში თვით მუსორგსკის საორგანო აზროვნება აქვს და ჩემს ტრანსკრიფციაში დიდი ადგილი უკავია რაველის ორგანობის პრინციპს, ანალიზში დეტალურად არის წარმოდგენილი ორგანზე საორგანო უღერადობის გაძლიერების და კლების სხვადასხვა გზები, იმის გათვალისწინებით, რომ ორგანზე დიდ სირთულეს წარმოადგენს უღერადობის თანდათანობითი მატება და კლება, მით უმეტეს მცირე დროში. ჩემი საორგანო ტრანსკრიფციის ანალიზში წარმოდგენილია პრაქტიკული

რჩევები, თუ რა პრინციპით უნდა ხდებოდეს რეგისტრების გადართვა და როდის უნდა მიემართოდ შევლერებით მანიპულირებას, ან როგორ უნდა მოხდეს რეგისტრების ცვლის და შევლერებით მოქმედების სინთეზი, ნაწარმოების ტემპიდან გამომდინარე რა შემთხვევაში უნდა ხორციელდებოდეს მანუალური ცვლა და რა შემთხვევაში უნდა იცვლებოდეს რეგისტრობა. ვინაიდან ორგანზე შესრულებას ახასიათებს გარკვეული პრობლემა, რომელიც გამოიხატება მანუალებთან შეფარდებით პედლის უღერადობის დაგვიანებაში, თან ყოველივე ეს ორგანზე სხვადასხვანაირად აისახება, დიდი ყურადღება ეთმობა მანუალების და პედლის სინქრონიზაციის პრობლემატიკის გადაჭრას.

მოცემული ტრანსკრიფციის მაგალითზე წამოჭრილია ზოგადად ორგანზე შესრულების ტექნიკის სხვადასხვა საკითხები. წინა თავში განხილული ორგანების კონსტრუქციის განხილვა და მოცემულ თავში ჩემს მიერ ტრანსკრიფტორის პოზიციიდან შემოთავაზებული საშემსრულებლო რეკომენდაციები ბევრი პრობლემის გადაჭრას უწყობს ხელს, როგორც თვით ტრანსკრიფციის შექმნის პროცესში, ისე მის შესრულებაში. ვიმედოვნებ, რომ ამ ციკლის საფორტეპიანო ორიგინალის, მორის რაველის საორკესტრო ვერსიის და ჩემი საორგანო ტრანსკრიფციის შედარებითი ანალიზი ხელს შეუწყობს ახალგაზრდა პიანისტებს თვით მუსორგსკის საფორტეპიანო ტექსტში საორკესტრო აზროვნების პრინციპის უკეთ აღქმასა და რეალიზებაში. აგრეთვე ვფიქრობ, რომ ჩემი საორგანო ტრანსკრიფცია და მასში წარმოდგენილი რეგისტრობის კლასიფიკაციის საორკესტრო პრინციპი განსხვავებული კუთხით წარმოაჩენს, როგორც თვით საკრავს (ორგანს), ასევე მასზე შესრულების ხედვას.

### **III თავი – „მუსორგსკის „სურათები გამოფენიდან“ საორგანო ტრანსკრიფციები“**

ძალზე საინტერესოა მუსორგსკის საფორტეპიანო სიუტის საორგანო ტრანსკრიფციები, რომელთა შორისაც ყველაზე ცნობილია ფრანგი ორგანისტის, პიანისტის, იმპროვიზატორის და არაერთი საორგანო ტრანსკრიფციის ავტორის - ჟან გიუს ვერსია. ნაშრომის ამ ქვეთავში წარმოდგენილია ჩემი და ჟან გიუსსაორგანო ტრანსკრიფციების შედარებითი ანალიზი, მათ შორის მსგავსება-განსხვავების გამოსაკვეთად.

ამ ციკლის ჩემი საორგანო ტრანსკრიფცია დაიწერა ელექტრონული ტიპის 4 მანუალიანი ორგანისათვის, რომელსაც აქვს 100-მდე რეგისტრი და 4 შევლერი ამ რეგისტრების 890 გადართვის შესაძლებლობა, რომელიც ამ ურთულესი



ნაწარმოების ასისტენტის გარეშე შესრულების საშუალებას იძლევა მაშინ, როდესაც სხვა შემთხვევაში ამ თხზულებაში ორი ასისტენტის დახმარება გარდუვალი იქნებოდა. მაგრამ ამავდროულად ჩემი ტრანსკრიფცია დაწერილია რეგისტრებისა და დისკოზიციის ისეთი გათვლით, რომ მისი შესრულების საშუალებას იძლევა როგორც მცირე, ისე უფრო მასშტაბური შესაძლებლობების მქონე ორგანებზე.

მ. მუსორგსკის “სურათები გამოფენიდან”, როგორც საფორტეპიანო (ორიგინალი), ისე რაველის საორკესტრო ვერსია, მნიშვნელოვანი პრობლემის წინაშე აყენებს საორგანო ვერსიის ტრანსკრიფტორს, რომელმაც განსაზღვრული გზა უნდა აირჩიოს ნაწარმოებზე მუშაობისას:

1. „პირდაპირ“ გადაიტანოს საფორტეპიანო ნაწარმოები ორგანზე;
2. წინა პლანზე წამოწიოს წმინდა საორგანო რეგისტრულ-აკუსტიკური, ტექნიკური შესაძლებლობები; თუ
3. წინა პლანზე წამოწიოს საორკესტრო აზროვნება საფორტეპიანო და საორგანო ფაქტურის სპეციფიკის შერწყმით.

ჩემი საორგანო ტრანსკრიფციის მთავარი იდეა იმაში მდგომარეობს, რომ მუსორგსკის ორიგინალის და რაველის საორკესტრო ვერსიის უღერადობის შერწყმით და მათი კანონზომიერებების გათვალისწინებით, საორგანო რეგისტრობის და მისი ტექნიკური ნიშან-თვისებების გამოყენებით, მაქსიმალურად შენარჩუნდეს მუსორგსკის ორიგინალის მხატვრული შინაარსი.

ამ ციკლის ჟან გიუს ტრანსკრიფცია დაწერილია უფრო ფრანგული სტილის ორგანისთვის. ჩემი აზრით, მასში წინა პლანზე წამოწეულია ინსტრუმენტის (ორგანის) შესაძლებლობების ჩვენება. იგი შექმნილია ინსტრუმენტის სპეციფიკიდან გამომდინარე და ტრანსკრიფტორი გარკვეულწილად მას უსადაგებს ავტორისეულ შინაარსს. მაგრამ ციკლის სხვა საორგანო ტრანსკრიფციებისაგან განსხვავებით, გიუს ამ ტრანსკრიფციამ ჩემი ყურადღება მიიპყრო ორიგინალთან უფრო მეტი თანხვედრით. მიუხედავად მუსორგსკის სიუტის მრავალი საორგანო ტრანსკრიფციის არსებობისა, ჩემი საორგანო ტრანსკრიფციის სახით, ვფიქრობ, შეიქმნა არსებულთაგან ორიგინალური ვერსია, რაც მიღწეულია საფორტეპიანო და საორგანო ტექნიკის, საორკესტრო ინსტრუმენტების პრინციპით შერჩეული საორგანო რეგისტრობისა და, შესაბამისად, საფორტეპიანო, საორკესტრო და საორგანო სპეციფიკის შერწყმით. ზემოთჩამოთვლილი ფაქტორების გათვალისწინებით, ის ორიგინალის მხატვრულ სახესაც ინარჩუნებს და,

ამავდროულად, ტექსტის ახლებურ ინტერპრეტაციასაც გვთავაზობს. ამასთანავე, ჩემს მიერ წარმოდგენილი საორგანო ტრანსკრიფციის შესრულება ნებისმიერ ორგანზეა შესაძლებელი, რაც საშემსრულებლო თვალსაზრისით მეტ შესაძლებლობებს იძლევა.

სადისერტაციო ნაშრომის დასკვნაში წარმოდგენილია შრომის საკვლევი პრობლემატიკასთან დაკავშირებული შედეგები. სადისერტაციო თემის სატრანსკრიფტორო და საშემსრულებლო კუთხით ჩატარებულმა კვლევამ, როგორც ტრანსკრიფციის უნარის ზოგადი ისტორიული მიმოხილვის კუთხით, ისე მუსორგსკის საფორტეპიანო ციკლის “სურათები გამოფენიდან” რაველის საორკესტრო ვერსიის და - ჩემი ალექსანდრე ვასაძის და ჟან გიუს საორგანო ტრანსკრიფციების შედარებითა ანალიზმა გარკვეული დასკვნების გაკეთების საშუალება მოგვცა:

1) ტრანსკრიფციის უნარის ზოგადი ისტორიული მიმოხილვის შედეგად სხვადასხვა მუსიკისმცოდნეთა ნაშრომებში აზრთა სხვადასხვაობაში იკვეთება მოსაზრება, რომ ტრანსკრიფცია გულისხმობს ორიგინალის ტექსტში ყოველგვარი ცვლილებების შეტანის გარეშე ნაწარმოების სხვა შემადგენლობისთვის ან საკრავისთვის ზუსტ გადატანას, რის შედეგადაც ამა თუ იმ შემადგენლობის ან საკრავის სპეციფიკის და ნიშან-თვისებების მეშვეობით იგი ახალ სახეს იძენს, რის მაგალითსაც წარმოადგენს რაველის საორკესტრო ტრანსკრიფცია.

რაველის საორკესტრო ვერსიის დეტალურმა ანალიზმა კიდევ ერთხელ ცხადყო, რომ ტრანსკრიფციაში ორიგინალის ტექსტის შენარჩუნება გადამწყვეტი მნიშვნელობისაა გადამუშავებისაგან განსხვავებით, რომლის ტექსტში გარკვეული ცვლილებები დასაშვებია (მით უფრო დიდია ცვლილებები პარაფრაზში, რომელიც განცალკევებით დგას ამ უნარისგან). სწორედ რაველის უნიკალური საორკესტრო ხედვის შედეგად, გაორკესტრების დიდოსტატმა კომპოზიტორმა მუსორგსკის ორიგინალის ტექსტში ყოველგვარი ცვლილებების შეტანის გარეშე ნაწარმოებს სრულიად ახლებური, კიდევ უფრო მრავალფეროვანი და მასშტაბური სახე შესძინა, რითაც მან ამ საფორტეპიანო ციკლს ახალი სიცოცხლე შთაბერა.

ჩემი საორგანო ტრანსკრიფციაც ზუსტად იმის დადასტურებაა, თუ როგორ შეიძლება ორიგინალის ტექსტში ცვლილებების შეტანის გარეშე ახალი ნაწარმოების შექმნა ტრანსკრიფციის სახით, ინსტრუმენტის სპეციფიკიდან გამომდინარე, პედალების მანუალების და რეგისტრობის დისპოზიციის ცვლით, მათი განლაგების შესაბამისად მორგების და საორგანოდ ტრანსფორმაციის გზით.

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ჩატარებულმა ანალიზმა ჩემი საორგანო ტრანსკრიფციის სახით აგრეთვე აჩვენა თუ რა სხვაობის შემცველია ერთი და იგივე ტექსტი ორ სანოტო ვერსიაში (მუსორგსკის ორიგინალი და რაველის პარტიტურა).

უნდა აღინიშნოს, რომ ჟან გიუს საორგანო ვერსიაც ტრანსკრიფციის ცნების შესახებ ჩვენს მოსაზრებას თითქმის ადასტურებს; ამ ციკლის ბოლო ორი ნომრის (განსაკუთრებით ბოლო ნომრის) გამოკლებით, რომელიც, ჩვენი აზრით, უფრო გადამუშავების ელემენტებს შეიცავს. მაგრამ მთელი ციკლის მანძილზე ორიგინალის ტექსტის შენარჩუნების გამო, ჩვენ მას მაინც ტრანსკრიფციის ჟანრის ფარგლებში მოვიაზრებთ. უნდა აღინიშნოს, რომ დანარჩენ ნომრებშიც მთელი ციკლის მასშტაბით ჟან გიუსთან შედარებით, ჩემი საორგანო ტრანსკრიფცია ორიგინალურ ტექსტთან კავშირს უფრო მეტად ინარჩუნებს. სადისერტაციო ნაშრომში ჩატარებული ამ ორი საორგანო ტრანსკრიფციის (ჩემი ალექსანდრე ვასაძის და ჟან გიუს) შედარებითი ანალიზი მომავალ ტრანსკრიფტორს ტრანსკრიფციების სხვადასხვა შესაძლო გზების დანახვის საშუალებას აძლევს.

2) სადისერტაციო ნაშრომში წარმოდგენილი სხვადასხვა ეპოქის ორგანების ტექნიკური მახასიათებლების მიმოხილვით და მათი სქემების შედარებით, უფრო თვალსაჩინო ხდება ტრანსკრიფციის შექმნისას და შესრულებისას ამა თუ იმ ეპოქის ინსტრუმენტისთვის დამახასიათებელ რა სახის პრობლემასთან შეიძლება გვქონდეს საქმე. ანალიზში ჩემი ტრანსკრიფციის მაგალითზე, საორგანო სპეციფიკიდან გამომდინარე, მისი რეგისტრობის, დისპოზიციის და მისთვის დამახასიათებელი ნიშან-თვისებების რაველის საორგესტრო ვერსიის საორგესტრო ნიშან-თვისებებთან შერწყმით, შესაძლებელი გახდა საორგესტრო პრინციპით საორგანო რეგისტრობის ერთგვარი გრადაცია, რამაც საშუალება მოგვცა, გამოგვეყენებინა ორგანზე რეგისტრების შერჩევის ახლებური კომბინირებული პრინციპი. ყოველივე ზემოთქმული ტრანსკრიფციების შექმნაში და შესრულებაში ძალზე მნიშვნელოვან როლს ასრულებს და ბაზას უქმნის არამარტო რეგისტრობის განსხვავებული პრინციპით შერჩევას, არამედ თვით ტრანსკრიფციების პროცესში დისპოზიციის ახლებურ ხედვას.

3) სადისერტაციო ნაშრომი მნიშვნელოვან სიახლეს წარმოადგენს აგრეთვე საშემსრულებლო თვალსაზრისით. ამ მიმართულებით ჩატარებულმა ანალიზმა წარმოაჩინა ორგანზე შესრულებისას წარმოქმნილი მთელი რიგი პრობლემები და მათი გადაჭრის სხვადასხვა გზები. გამომდინარე იქედან, რომ მუსორგსკი ამ

ციკლის სახით პიანისტის წინაშე განსხვავებული სახის ძალზე რთულ ამოცანებს აყენებს, რაც გამოიხატება ნაწარმოების არა მარტო მრავალსახოვანი მხატვრული შინაარსის წარმოჩენაში (რაც ამ ციკლის უმთავრეს სირთულეს წარმოადგენს), არამედ კომპოზიტორის მიერ დასაბამიდანვე საორკესტრო ხედვით განპირობებულ საფორტეპიანო ფაქტურაში გადატანილ ტემბრულ-დინამიკურ სპეციფიკაში. აღნიშნული კი მიიღწევა განსხვავებული არტიკულაციური ხერხებით, პედალიზაციით, დინამიკით, აგოგიკით და სხვ. ჩემი საორგანო ტრანსკრიფციის საშემსრულებლო კუთხით ჩატარებულმა ანალიზმა აჩვენა, თუ როგორ გადავიდა ყოველივე ეს საორგანო ფაქტურაში, როგორ გამოიხატება ეს სრულიად განსხვავებულ არტიკულაციაში, პედლის არარსებობის პირობებში გამოწვეულ სირთულეებში ლეგატოსთან მიმართებაში, რეგისტრების გადართვის ტექნიკაში, საორგანო პედლების და მანუალების სინქრონიზაციაში. სწორედ სადისერტაციო ნაშრომში წარმოდგენილმა ანალიზმა და მასში მოცემულმა პრაქტიკულმა რჩევებმა პასუხი გასცა იმ კითხვებს, თუ როგორ უნდა იქნას დაძლეული ზემოთაღნიშნული საშემსრულებლო ამოცანები.

ამდენად, ჩატარებული კვლევა გვიჩვენებს, რომ ტრანსკრიფციის პრაქტიკაში ყალიბდება სპეციალური სემანტიკური ტექსტური ურთიერთქმედება. უპირველეს ყოვლისა, ასეთი ურთიერთქმედება მოიცავს ორ ტექსტურ შრეს, რომელთაგან ერთი წარმოშობს მეორეს. მიუხედავად იმისა, რომ ტრანსკრიფცია სხვა საკრავისთვის „გადატანას“ გულისხმობს, ყველა ტრანსკრიფცია ტექსტის ერთგვარ ინტერპრეტაციას წარმოადგენს, რადგან აპრიორი მოიცავს საკითხთა ფართო წრეს, დაწყებული რეგისტრული, ტემბრული ექვივალენტის დადგენით და „ინტერტექსტუალურობით“ დამთავრებული.

ტრანსკრიფციის უანრის და მისი მსგავსი მოვლენების საფუძველში დევს ტრანსფორმაციის მეთოდი, რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ უკვე არსებული მხატვრული რეალობის საფუძველზე ყალიბდება ხარისხობრივად ახალი მხატვრული მოვლენა, რომელიც ინარჩუნებს ორიგინალის ცალკეულ ნიშნებს, მაგრამ ამავე დროს ახალ რეალობას ქმნის, სადაც ვლინდება ავტორის საკომპოზიტორო ინდივიდუალობა, დამოკიდებულება პირველწყაროსადმი. ამიტომაც ყოველი ტრანსკრიფცია ერთგვარი არტეფაქტია.

ახალ (ტრანსკრიფცირებულ) ტექსტში, ახალ საკრავზე გადატანისას, ერთის მხრივ, ძალაში შედის ახალი აზრობრივი დომინანტები. მაგრამ, მეორეს მხრივ, ორიგინალის სემანტიკა აღიბეჭდება ახალ კომპოზიციაზე, ვინაიდან "ახალი"

კომპოზიცია არ არსებობს "ძველი" კომპოზიციის მნიშვნელობის მიღმა. შესაბამისად, მათ შორის არსებობს ურღვევი კავშირები, როგორც სემანტიკური, ისე აზრობრივი. ეს ასევე უკავშირდება აღქმის ასპექტსაც, რომელიც ფოკუსირებულია პირველადი ტესტის მხატვრულ ინფორმაციაზე, რომელიც "ძველი" კომპოზიციისგან არის მიღებული და, შესაბამისად, მასთან ასოცირებული. ასე იქმნება ერთიანი მეტატექსტუალური ველი.

აღსანიშნავია რომ სადისერტაციო ნაშრომის საშემსრულებლო კუთხით წარმოდგენილ ანალიზში მოცემული პრაქტიკული რჩევები არ შემოიფარგლება მხოლოდ ამ ციკლით, არამედ მათ უნივერსალური სახე აქვთ, აქედან გამომდინარე სადისერტაციო ნაშრომი ამ ციკლის ანალიზის სახით მოიცავს აგრეთვე ორგანზე საშემსრულებლო ზოგადი პრობლემატიკის მრავალ ასპექტს და მოცემული ციკლის მაგალითზე სხვადასხვა სახის შესაძლო კითხვას სცემს პასუხს.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე სადისერტაციო ნაშრომი სიახლეს წარმოადგენს როგორც თვით ტრანსკრიფციის შექმნის მეთოდოლოგიის კუთხით, ისე საშემსრულებლო თვალსაზრისით, სადაც მოცემული ტრანსკრიფციის მაგალითზე წამოჭრილია ზოგადად ორგანზე შესრულების ტექნიკასთან დაკავშირებული სხვადასხვა საკითხები. ვიმედოვნებ, ჩემს მიერ შემოთავაზებული როგორც ტრანსკრიფტორის, ისე საშემსრულებლო რეკომენდაციები სასარგებლო იქნება როგორც თვით ტრანსკრიფციის შექმნის პროცესში, ი მის შესრულებაში. ვფიქრობ რომ ჩემი საორგანო ტრანსკრიფცია და მასში წარმოდგენილი რეგისტრობის კლასიფიკაციის საორკესტრო პრინციპი განსხვავებული კუთხით წარმოაჩენს როგორც თვით საკრავს (ორგანს), ასევე მასზე შესრულებას.

აგრეთვე ვიმედოვნებ რომ ამ ციკლის საფორტეპიანო ორიგინალის, მორის რაველის საორკესტრო ვერსიის და ჩემი საორგანო ტრანსკრიფციის შედარებითი ანალიზი ხელს შეუწყობს პიანისტებს ორიგინალის შესრულებისას საშემსრულებლო ამოცანების უკეთ აღქმასა და რეალიზებაში.

დისერტაციის ძირითადი დებულებები ასახულია შემდეგ პუბლიკაციებში:

ვასაძე ალექსანდრე – “ორგანი და მისი სახეობები XX საუკუნეში”, ქესჟ: მუსიკისმცოდნეობა და კულტუროლოგია; თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია; მთ. რედ.: მ. ქავთარაძე. 2020|No.1 (21)

მის.: [http://www.gesj.internet-academy.org.ge/ge/list\\_artic\\_ge.php?b\\_sec=muz](http://www.gesj.internet-academy.org.ge/ge/list_artic_ge.php?b_sec=muz)

ვასაძე ალექსანდრე – “მოდესტ მუსორგსკის “სურათები გამოფენიდან” (საორგანო ტრანსკრიფციები)” ქესჟ: მუსიკისმცოდნეობა და კულტუროლოგია; თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია; მთ. რედ.: მ. ქავთარაძე. 2020|No.2 (22)

მის.: [http://www.gesj.internet-academy.org.ge/ge/list\\_artic\\_ge.php?b\\_sec=muz](http://www.gesj.internet-academy.org.ge/ge/list_artic_ge.php?b_sec=muz)

V. Sarajishvili Tbilisi State Conservatoire

With the right to manuscript

**Alexander Z. Vasadze**

**Organ as a Tool of Transcriber-interpreter and Organ  
Transcriptions (on the example of Mussorgsky's suite "Pictures at an  
Exhibition")**

Submitted for the academic degree Doctor of Musical Art

**Dissertation**

a b s t r a c t

Specialization – Keyboard instruments – 080507

Tbilisi – 2021

Scientific supervisor: **Marina Kavtaradze**

Doctor of Arts, Professor

Co-supervisor: **Nino Jvania**

Doctor of Arts, Associate professor

Expert:

The defense of the dissertation will take place at the meeting of the Dissertation Council # of Tbilisi State Conservatoire

Address: Tbilisi State Conservatoire,  
8, Griboedov Str., 3<sup>rd</sup> floor, lecture room #421

The dissertation and abstract are available at the Conservatoire Library and on the Conservatoire Web Site: <http://www.tsc.edu.ge>

Academic Secretary of the Dissertation Board:

**Eka Chabashvili**, Doctor of Music, associate professor



## A b s t r a c t

### General Description of the Work

